სკოპინგის დასკვნა N48

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: ქ. რუსთავში შპს „ჯეოსთილის“ მეტალურგიული საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება (არასახიფათო ნარჩენის განთავსება და წიდის გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაცია);

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი: შპს „ჯეოსთილი“ (ს.ნ 216425919);

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: ქ. რუსთავი;

განაცხადის შემოსვლის თარიღი: 06.05.2025;

მონაცემები სკოპინგის ანგარიშის შემდგენლის შესახებ: შპს „გამა კონსალტინგი“

ძირითადი საპროექტო მონაცემები:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ - სააგენტო) შპს „ჯეოსთილის“ (შემდგომ - კომპანია) მიერ წარმოდგენილ იქნა ქ. რუსთავში, მეტალურგიული საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (არასახიფათო ნარჩენის განთავსება და წიდის გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაცია) სკოპინგის ანგარიში.

2023 წელს სააგენტოს მიერ ქ. რუსთავში, შპს „ჯეოსთილის“ მეტალურგიული საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება №247/ს). გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მეტალურგიულ საწარმოში ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი წიდის (10 02 02), ხენჯის (10 02 10) და მტვერდამჭერი სისტემიდან მიღებული მტვრის (10 02 15) მართვა ხორციელდება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმის მიხედვით. კერძოდ, ვინაიდან დღეისათვის ქვეყანაში არ ფუნქციონირებს შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანია, რომელიც მსგავსი ტიპის და რაოდენობის ნარჩენებს განათავსებს ან/და გადაამუშავებს, მათი დროებითი დასაწყობება გათვალისწინებულია მეტალურგიული საწარმოს ტერიტორიაზე, შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად.

საქმიანობის 2023 წლის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (შემდგომ - გზშ) ანგარიშის თანახმად, შპს „ჯეოსთილს“ დაგეგმილი აქვს საკუთარი წიდასაყარის მოწყობა-ექსპლუატაცია, რაზეც შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში კომპანია ნარჩენს საბოლოოდ განათავსებს საკუთარ წიდასაყარზე ან/და გადასცემს შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციას. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მე-10 პირობის შესაბამისად, კომპანიამ საწარმოში წარმოქმნილი ნარჩენების (წიდა და ფილტრის ნალექები)

საბოლოო განთავსების მიზნით დაგეგმილი წიდასაყარის/ნაგავსაყრელის მოწყობა უნდა უზრუნველყოს საქართველოს მთავრობის 2015 წლის 11 აგვისტოს N421 დადგენილებით დამტკიცებული „ნაგავსაყრელის მოწყობის, ოპერირების, დახურვისა და შემდგომი მოვლის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი პროცედურების შესაბამისად.

ქ. რუსთავში შპს „ჯეოსთილის“ მეტალურგიული საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე 2025 წლის 13 მარტს სააგენტოს მიერ გაცემული იქნა სკრინინგის გადაწყვეტილება (ბრძანება №125/ს) გარემოზე ზემოქმედების შეფასებას დაქვემდებარების შესახებ და კომპანიას დაევალა „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ განსაზღვრული სკოპინგის პროცედურის გავლა.

2023 წელს სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა შპს „ჯეოსთილის“ კუთვნილი ობიექტის ინსპექტირება, რის საფუძველზეც საწარმოში გამოვლენილ დარღვევებზე „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 79^8 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №079114 ოქმი, რომელიც განსახილველად გადაეგზავნა რუსთავის საქალაქო სასამართლოს. სასამართლოს 2023 წლის 1 აგვისტოს №4-301-23 დადგენილებით შპს„ჯეოსთილი“ ცნობილ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად და ადმინისტრაციული სახდელის სახით დაეკისრა ჯარიმა. ამასთან, შპს „ჯეოსთილის“ მეტალურგიულ საწარმოზე 2023 წლის 1 ივნისის N247/ს ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის ინსპექტირებისას გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრის მიზნით, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის 2024 წლის 6 ნოემბერს №004095 ადმინისტრაციული მიწერილობით კომპანიას განესაზღვრა გონივრული ვადა.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, შპს „ჯეოსთილის“ მეტალურგიული საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება ითვალისწინებს არასახიფათო ნარჩენის განთავსების და წიდის გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციასა და წიდის დამუშავების შედეგად მიღებული მეტალური ფრაქციის მეტალურგიული საწარმოს ფოლადსადნობ საამქროში ნედლეულის სახით დაბრუნებას (ნარჩენების აღდგენა). არასახიფათო ნარჩენის განთავსების და წიდის გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა დაგეგმილია ქ. რუსთავში, კომპანიის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 02.06.01.055, 02.06.01.054; ჯამური ფართობი: 20000 $მ^2$), რომელიც საწარმოს ტერიტორიიდან დაშორებულია დაახლოებით 5 კილომეტრით (პირდაპირი მანძილი). სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 1800 მეტრით. თუმცა მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს დაახლოებით 730 მეტრში. უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტს წარმოადგენს მდ. მტკვარი. საპროექტო

ტერიტორიას აღმოსავლეთით ესაზღვრება შპს „რუსთავის ფოლადის“ წიდისა და ჯართის გადამუშავების საამქრო.

სკოპინგის ანგარიშში მოცემულია დაგეგმილი საქმიანობის ალტერნატივების ანალიზი, მათ შორის, განხილულია უმოქმედობისა (ნულოვანი) და არასახიფათო ნარჩენის განთავსების, წიდის გადამუშავების საამქროს ადგილმდებარეობის ალტერნატივები. საპროექტო ტერიტორიის შერჩევა მოხდა გარემოსდაცვითი და ტექნიკურ-ეკონომიკური საკითხების გათვალისწინებით.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, მეტალურგიული საწარმოს ტექნოლოგიური პროცესის შედეგად წარმოქმნილი არასახიფათო ნარჩენების (წიდა – კოდი: 10 02 02; ფილტრის ნალექები – კოდი: 10 02 15) საბოლოო განთავსების მიზნით, 4000 $მ^2$ ფართობის მქონე ტერიტორიაზე გათვალისწინებულია წიდის გადამამუშავებელი საამქროს მოწყობა. მეტალურგიული საწარმოს წლიური წარმადობის (300000 ტ/წელ) გათვალისწინებით, საპროექტო საწარმოში გადაუმუშავებელი წიდის რაოდენობა იქნება წელიწადში 45900 ტონა. სკოპინგის ანგარიშის თანახმად, გადამუშავებას ასევე დაექვემდებარება საწარმოს ტერიტორიაზე დასაწყობებული, დაახლოებით 600000 ტონა წიდა. აღნიშნულის გათვალისწინებით, საპროექტო საამქრო, ექსპლუატაციის საწყის ეტაპზე, იმუშავებს სრული დატვირთვით, ხოლო მეტალურგიული საწარმოს ტერიტორიაზე დროებით დასაწყობებული წიდის გადამუშავების შემდეგ - საჭიროების შესაბამისად.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, წიდის გადამამუშავებელი დანადგარის შემადგენელ ინფრასტრუქტურას წარმოადგენს: საყრდენი კედელი, პანდუსი; 50 $მ^3$ მოცულობის ბუნკერი; ინერციული მკვებავი; ვიბრაციული გადამყრელი; 3 ერთეული გამწმენდი დოლი; 10 ერთეული ლენტური კონვეიერი; 2 ერთეული მაგნიტური სეპარატორი; ვიბრაციული საცერი; ხელით გადარჩევის კაბინა; მაგნიტური დოლი; მართვის ჯიხური და 10 ერთეული ხარო. საპროექტო ტერიტორიაზე ასევე მოეწყობა სამშენებლო ტექნიკის სადგომი და კონტეინერული ტიპის სათავსები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, მეტალურგიული საწარმოდან საპროექტო ტერიტორიაზე შემოტანილი წიდა პირდაპირ ჩაიტვირთება წიდის გადამამუშავებელი დანადგარის მიმღებ ბუნკერში (ხვიმრაში). ტექნოლოგიური პროცესი გულისხმობს წიდის მექანიკურ დამუშავებას (მსხვრევა, სორტირება) და მაგნიტური სეპარაციის საშუალებით მეტალური (ჯართი) და არამეტალური ფრაქციების გამოყოფას. დამუშავების შედეგად მიღებული მეტალური ფრაქციების (0-8 მმ, 8-16 მმ, 16-300 მმ) წლიური რაოდენობა იქნება დაახლოებით 16065 ტ, ხოლო არამეტალური ფრაქციების (0-16 მმ, 16-60 მმ, 60-300 მმ) - 29835 ტონა. წიდის გადამუშავების შედეგად მიღებული მეტალურგიული ფრაქციები დაბრუნდება მეტალურგიული საწარმოს ტექნოლოგიურ ციკლში და გამოყენებული იქნება ნედლეულად, ხოლო არამეტალური ფრაქცია, რეალიზაციის მიზნით, დროებით დასაწყობდება ნარჩენების განთავსების უბანზე და შემდგომ გამოყენებული იქნება სამშენებლო მასალების წარმოებასა

და საგზაო მშენებლობაში. წიდის გადამუშავების დანადგარის მაქსიმალური წარმადობა იქნება 90000 ტ/წელ, ხოლო გადამუშავებული წიდის მაქსიმალური რაოდენობა -300 ტ/დღეში. დანადგარი იმუშავებს წელიწადში 300 დღე.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, მეტალურგიული საწარმოს ფილტრის ნალექების საბოლოო განთავსება მიზნით, 12500 $მ^2$ ფართობის მქონე ტერიტორიაზე გათვალისწინებულია ნაგავსაყრელის მოეწყობა, სადაც წლის განმავლობაში განთავსდება 2475 ტონა ნარჩენი. ნაგავსაყრელის ტერიტორია მოშანდაკდება და მიეცემა სათანადო ქანობი. ნარჩენების განთავსების უბნის ძირი დაფარული იქნება ქვიშით, რაზეც განთავსდება გეომემბრანა და გეოტექსტილი, რომელიც კვლავ გადაიფარება ქვიშის ფენით. ნარჩენების განთავსება მოხდება ერთსაფეხურიანი ტერასის საშუალებით (სიმაღლე 6.5 მ, ფერდების დახრილობა 35^0). ნაგავსაყრელი გათვლილია 30-35 წლის განმავლობაში ჯამურად 86000 $მ^3$ ნარჩენის განთავსებაზე. ნარჩენები დაფასოებული იქნება დიდი ზომის ტომრებში (ე.წ. „ბიგ ბეგებში“). ნაგავსაყრელის შევსება დაიწყება თანდათანობით, ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან, ხოლო საპროექტო ნიშნულამდე შევსების შემდგომ, მოხდება მისი გადახურვა და რეკულტივაცია.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, წიდის გადამამუშავებელი საწარმოსა და ნაგავსაყრელის მოწყობისთვის სამშენებლო სამუშაოები გაგრძელდება 1 წლის განმავლობაში (260 სამუშაო დღე). ექსპლუატაციის ეტაპზე ობიექტი იმუშავებს წელიწადში 365 დღე, 8-საათიანი სამუშაო რეჟიმით, სადაც დასაქმებული იქნება დაახლოებით 15 ადამიანი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საპროექტო ობიექტზე წყლის გამოყენება მოხდება სასმელ-სამეურნეო და ტექნიკური მიზნებისთვის. წიდის გადამუშავების საამქროს მოწყობის ეტაპზე სასმელი წყლით მომარაგება მოხდება ბუტილირებული სახით, ხოლო სამეურნეო დანიშნულებისთვის განთავსდება წყლის სამარაგო რეზერვუარები. წყლის გამოყენება ასევე მოხდება მშრალ ამინდებში სამშენებლო მოედნებიდან მტვრის გავრცელების საწინააღმდეგოდ და ხანძარსაწინააღმდეგოდ, ხოლო სამეურნეო-საყოფაცხოვრებო წყლების შესაგროვებლად მოეწყობა 10 $მ^3$ ტევადობის ჰერმეტული სეპტიკური რეზერვუარი. ექსპლუატაციის ეტაპზე, ტექნიკური დანიშნულებით, წყალი გამოყენებული იქნება მტვრის ნაყარის ზედაპირიდან ამტვერების საწინააღმდეგოდ. სასმელ-სამეურნეო და ტექნიკური დანიშნულების წყლით მომარაგება გათვალისწინებულია ქ. რუსთავის წყალსადენის ქსელიდან. წარმოქმნილი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების შეგროვდება მოხდება 20 $მ^3$ ტევადობის ჰერმეტულ სეპტიკურ რეზერვუარში, რომლის განტვირთვა მოხდება ქ. რუსთავის წყალკანალის სამსახურის მიერ, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. რაც შეეხება სანიაღვრე წყლებს, ნარჩენების დასაწყობების უბნის გადახურვამდე, წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების არინების მიზნით, მოეწყობა სადრენაჟე პერფორირებული მილი და სალექარი ჭა (სიმაღლე 2 მ, დიამეტრი 1 მ), საიდანაც გაწმენდილი წყალი, 300 მმ დიამეტრის გოფრირებული მილის საშუალებით, ჩაშვებული იქნება მდ. მტკვარში (წყალჩაშვების GPS კოორდინატებია: X-502198, Y-4593760). სკოპინგის ანგარიშის

მიხედვით, გაწმენდის შემდგომ ჩამდინარე წყლებში არსებული შეწონილი ნაწილაკების კონცენტრაცია არ გადააჭარბებს 55-60 მგ/ლ-ს. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, გრუნტის წყლის დაბინძურება მოსალოდნელია მხოლოდ გაუთვალისწინებელ შემთხვევებში: სამშენებლო ტერიტორიაზე ნარჩენების არასწორი მართვის, ტექნიკიდან ან სატრანსპორტო საშუალებებიდან ნავთობპროდუქტების ავარიული დაღვრის დროს.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, არასახიფათო ნარჩენის განთავსების და წიდის გადამამუშავებელი საწარმოს მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია არასახიფათო და სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. მოხდება წარმოქმნილი ნარჩენების კლასიფიცირება და დროებითი დასაწყობება სამშენებლო მოედნებზე, დახურულ კონტეინერებში. სკოპინგის ანგარიშის თანახმად, სამშენებლო სამუშაოების საწყის ეტაპზე საპროექტო ტერიტორია გაიწმინდება სამშენებლო ნარჩენებისგან, რომელთა განთავსება მოხდება ქ. რუსთავის სამშენებლო ნარჩენების პოლიგონზე, ხოლო ადრეულ წლებში შეტანილი წიდა დროებით დასაწყობდება ტერიტორიაზე და გადამუშავდება წიდის საპროექტო დანადგარის საშუალებით. ასევე, უვარგისი ლითონის ჯართის ჩაბარება მოხდება შესაბამის მიმღებ პუნქტებში. სკოპინგის ანგარიშის თანახმად, წარმოქმნილი სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების შემდგომი მართვა განხორციელდება შპს „ჯეოსთილის“ ნარჩენების მართვის გეგმის მიხედვით.

სკოპინგის ანგარიშში მოცემულია ზოგადი ინფორმაცია გარემოზე შესაძლო ზემოქმედების სახეებისა და იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული იქნება გარემოზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილებისათვის, შემცირებისათვის ან/და შერბილებისათვის.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, არასახიფათო ნარჩენის განთავსებისა და წიდის გადამამუშავებელი საწარმოს როგორც მოწყობის, ასევე ექსპლუატაციის ეტაპი დაკავშირებული იქნება ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების წარმოქმნასთან და ხმაურის გავრცელებასთან. მოწყობის ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ემისიების მთავარ წყაროს წარმოადგენს მოძრავი სამშენებლო ტექნიკა და სატრანსპორტო საშუალებები. ასევე მოსალოდნელია მტვრის გავრცელება მიწის სამუშაოებისა და ნაყარი სამშენებლო მასალების შენახვა-გამოყენების დროს. რაც შეეხება ექსპლუატაციის ეტაპს, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების (ძირითადად არაორგანული მტვერი) გავრცელება დაკავშირებული იქნება წიდის გადამუშავების დანადგარის ფუნქციონირებასთან, ნაგავსაყრელის ზედაპირიდან მტვრის გავრცელებასთან და სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებასთან. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედებით გამოწვეული ზემოქმედების შეფასება და შესაბამისი გაანგარიშებები წარმოდგენილი იქნება გზშ-ის ანგარიშში.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ობიექტების მშენებლობის ეტაპზე ხმაურის და ვიბრაციის გავრცელება მოსალოდნელია და დაკავშირებული იქნება ტექნიკის და

სატრანსპორტო საშუალებების მუშაობასთან. რაც შეეხება ექსპლუატაციის ეტაპს, ხმაურის გავრცელება მოსალოდნელია წიდის გადამამუშავებელი დანადგარის ფუნქციონირებით, ასევე, სატრანსპორტო საშუალებების და ავტოდამტვირთველის მუშაობის პროცესში. დოკუმენტაციის მიხედვით, უარესი სცენარის პირობებში ხმაურის დონე უახლოეს რეცეპტორთან იქნება 16 დბა. ამასთან, ხმაურის წყაროსა და უახლოეს საცხოვრებელ სახლს შორის არსებობს ბუნებრივი ბარიერები, შენობა-ნაგებობების სახით, რომლებიც 10 დბა-ით შეამცირებენ ხმაურის გავრცელებას.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, არასახიფათო ნარჩენის განთავსების და წიდის გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე, ნედლეულის შემოტანისა და პროდუქციის გადაზიდვების შედეგად მოსალოდნელია სატრანსპორტო ნაკადებზე ზემოქმედება. მეტალურგიული საწარმოდან წიდის ტრანსპორტირება მოხდება სპეციალური საფარით აღჭურვილი თვითმცლელი ავტომანქანებით, ქ. რუსთავის შემოვლითი გზის (რუსთავი-ჯანდარას საავტომობილო გზა და მშენებელთა ქუჩა) გამოყენებით, რისთვისაც წლის განმავლობაში შესრულდება დაახლოებით 4797 სატრანსპორტო ოპერაცია. საპროექტო ტერიტორიამდე მისასვლელად არსებობს ადგილობრივი მნიშვნელობის გრუნტიანი გზა, თუმცა გათვალისწინებულია გზის რეაბილიტაცია, რაც გულისხმობს ვაკისის გასწორებას 150-200 მ სიგრძის მონაკვეთზე.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ნაგავსაყრელის და წიდის გადამამუშავებელი საწარმოს საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდა საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა (ტერიტორიის ამგები ნალექების სიღრმეში გაყვანილი იქნა 5 მეტრი სიღრმის ერთი შურფი). გამოვლენილ ჭრილში დაფიქსირდა მოყავისფრო-ნაცრისფერი, ქვიშიან-მტვროვანი, წვრილი და საშუალო ზომის ხრეში. შურფში მიღებულ გეოლოგიურ ჭრილში გამოიყო ერთი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი – თიხნარი, მონაცრისფრო-მოშავო ფერის რბილპლასტიკური, ზოგან ქვიშის თხელი ლინზებით და მცირე ზომის კენჭებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორიაზე და მის მიმდებარე არეალში მეწყრული მოვლენები არ ფიქსირდება და წყალმოვარდნისგან დამცავი კედლის მოწყობის აუცილებლობა არ არის.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, დაცული ტერიტორიების და სახელმწიფო ტყის სიახლოვეს. საამქროს მოწყობა მოხდება ანთროპოგენური დატვირთვის მქონე ტერიტორიაზე, სადაც ნიადაგის ნაყოფიერი ფენა და მცენარეული საფარი წარმოდგენილი არ არის. გარდა ამისა, სამშენებლო მასალა ობიექტზე შევა მზა სახით, ხოლო მიწის სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი გრუნტი გამოყენებული იქნება უკუყრისა და ტერიტორიის გეგმარებისთვის. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ნიადაგის და გრუნტის ხარისხზე ზემოქმედება მაღალი არ იქნება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ექსპლუატაციის ეტაპზე, არასახიფათო ნარჩენის განთავსების და წიდის გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციით კუმულაციური

ზემოქმედების რისკები შეიძლება დაკავშირებული იყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გავრცელებასთან, ხმაურის წარმოქმნასთან და სატრანსპორტო ნაკადებზე ზემოქმედებასთან. საპროექტო ტერიტორიას აღმოსავლეთით ემიჯნება მსგავსი პროფილის შპს „რუსთავის ფოლადის“ წიდისა და ჯართის გადამამუშავებელი საამქრო. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედება და შემარბილებელი ღონისძიებები წარმოდგენილი იქნება გზშ-ის ანგარიშში.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელების მიზნით, სააგენტომ უზრუნველყო წარმოდგენილი დოკუმენტაციის სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრში (შემდგომ - ცენტრი) გაგზავნა. ცენტრმა უზრუნველყო სკოპინგის ანგარიშისა და საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ასევე, გარდაბნისა და რუსთავის მუნიციპალიტეტების მერიების საინფორმაციო დაფებზე განთავსება. სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია განთავსდა ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებში. ასევე, ცენტრის ვებგვერდსა და ფეისბუქ გვერდზე. ამასთან, ინფორმაცია გაეგზავნა ცენტრის გამომწერებს, ელ. ფოსტის მეშვეობით. საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ინფორმაცია ასევე გამოქვეყნდა გაზეთში. საჯარო განხილვა გაიმართა 2025 წლის 2 ივნისს, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფ. კალინინოს ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, გარდაბნის მუნიციპალიტეტის, შპს „ჯეოსთილის“, გარემოსდაცვითი საკონსულტაციო კომპანია შპს „გამა კონსალტინგის“ წარმომადგენლები და დაინტერესებული საზოგადოება. საჯარო განხილვაზე დამსწრე საზოგადოების მხრიდან, დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით შენიშვნები/მოსაზრებები ეხებოდა: ატმოსფერულ ჰაერის დაბინძურებას, სატრანსპორტო ნაკადებზე ზემოქმედებას, დამსწრე საზოგადოებამ დააფიქსირა უარყოფითი პოზიცია და ხაზი გაუსვეს სამრეწველო ზონაში ცხოვრებით გამოწვეულ ნეგატიურ ზემოქმედებას, ჯანმრთელობაზე ზემოქმედების საკითხებს. საჯარო განხილვაზე დასმულ საკითხებზე განმარტებები გააკეთეს შპს „ჯეოსთილის“ და შპს „გამა კონსალტინგის“ წარმომადგენლებმა. საჯარო განხილვაზე გამოთქმული შენიშვნები/მოსაზრებები და შესაბამისი პასუხები/განმარტებები ასახულია საჯარო განხილვის ოქმში.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები არ წარმოდგენილა.

სკოპინგის პროცედურის შედეგად, სააგენტოს მიერ იდენტიფიცირდა დაგეგმილი საქმიანობიდან გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ძირითადი ზემოქმედების წყაროები, სახეები და ობიექტები. განისაზღვრა და დადგინდა ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შედეგად გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი. ასევე, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედებების საკითხები.

გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი:

1. **გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს** „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;
2. **გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს** „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტაცია;
3. **გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს** სკოპინგის ანგარიშში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესწავლილი ზემოქმედებები და შესაბამისი შემცირების/შერბილების ღონისძიებები;
4. **<u>გზშ-ის ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ (გზშ-ის ანგარიშის მომზადების პროცესში მონაწილეთა სიაში, მითითებული უნდა იქნეს კონკრეტულად ტექსტის რომელი ნაწილი/ქვეთავი იქნა მომზადებული თითოეული ექსპერტის მიერ).</u>**

5. **<u>გზშ-ის ანგარიშში ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს:</u>**

- ექსპლუატაციის პირობების ცვლილების საჭიროების დასაბუთება (გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონის საფუძველზე);
- არსებული და ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელების ადგილების აღწერა-დახასიათება, საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო კოდის, Shp ფაილებისა და GPS კოორდინატების მითითებით. მათ შორის, მიწის ნაკვეთების საკუთრების/სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- დაზუსტებული მანძილი არსებული საწარმოს და საპროექტო ტერიტორიიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლებამდე (მდებარეობის მითითებით), ასევე, ზედაპირული წყლისა და სხვა შესაძლო ზემოქმედებას დაქვემდებარებულ ობიექტებამდე;
- გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული გონივრული ალტერნატიული ვარიანტების შესახებ დეტალური ინფორმაცია, შესაბამისი დასაბუთებით (ალტერნატივების ერთმანეთთან შედარებით), მათ შორის, არაქმედების (ნულოვანი) ალტერნატივა, ტექნოლოგიური ალტერნატივები, ადგილმდებარეობის ალტერნატივები და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შერჩეული ალტერნატივების აღწერა-დასაბუთება;
- ინფორმაცია არსებული საწარმოსა და საპროექტო ობიექტ(ებ)ის სიახლოვეს (განსაკუთრებით 500-მ რადიუსის საზღვრებში) არსებული ნებისმიერი ტიპის

საწარმოო, მათ შორის, ანალოგიური ობიექტ(ებ)ის შესახებ (მანძილების და საქმიანობის მითითებით) და რუკაზე ასახვით;

- საქმიანობის დეტალური, თანმიმდევრული აღწერა, ასევე, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული (ნარჩენების აღდგენა, არასახიფათო ნარჩენის განთავსების და წიდის გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაცია) ტექნოლოგიური სქემის აღწერა, შესაბამისი თანმიმდევრობით. ასევე, ტექნოლოგიურ პროცესში გამოსაყენებელი დანადგარებისა და დამხმარე ინფრასტრუქტურის აღწერა, თითოეული საწარმოო ობიექტის/უბნის ტექნიკური პარამეტრებისა და ტექნოლოგიური სქემების მითითებით;
- საქმიანობის განხორციელების ტერიტორიის სიტუაციური სქემა და გენერალური გეგმა, შესაბამისი აღნიშვნებითა და ექსპლიკაციით, არსებული და საპროექტო ობიექტების, ასევე ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევისა და ხმაურის წარმომქმნელი წყაროების მითითებით;
- დეტალური ინფორმაცია საწარმოს არსებული და საპროექტო წარმადობის ფიზიკური მახასიათებლების შესახებ, მათ შორის, ინფორმაცია ტექნოლოგიური ხაზის წარმადობის (სთ, დღე, წელი) და სამუშაო რეჟიმის/გეგმა-გრაფიკის მითითებით. ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია საწარმოში მიღებული ნედლეულისა და წარმოებული პროდუქციის კონკრეტული რაოდენობების შესახებ (წლიური, დღეღამური და საათობრივი რაოდენობების მითითებით);
- დეტალური ინფორმაცია ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, არსებული და საპროექტო საწარმოების ნედლეულით მომარაგების, ნედლეულის წარმოშობის, რაოდენობის, ტიპის, ნედლეულის დასაწყობების ადგილებისა და პირობების შესახებ;
- ინფორმაცია მისასვლელი გზების და მათი მდგომარეობის შესახებ, ასევე ინფორმაცია მშრალ ამინდებში საწარმოს/საპროექტო ტერიტორიისა და მისასვლელი გზების მორწყვის საჭიროების (მორწყვის გეგმა-გრაფიკის მითითებით) შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია ნედლეულის შემოტანისა და გატანის ტრანსპორტირების შესახებ, შესაბამისი სამოძრაო მარშრუტის მითითებით (რუკაზე ჩვენებით, სქემატური ნახაზებით). ამასთან, წარმოდგენილი უნდა იქნეს ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირების გეგმა-გრაფიკი (ნედლეულის/პროდუქციის შემოტანის და გატანის სიხშირის მითითებით) და ინფორმაცია ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირებისათვის გამოყოფილი ტრანსპორტის ტიპისა და რაოდენობის შესახებ;
- ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირებისას დასახლებულ პუნქტ(ებ)ში გადაადგილების შემთხვევაში - ინფორმაცია შესაბამისი პირობების დაცვის შესახებ (მაგ: დაბალი სიჩქარე, ძარის გადახურვა, ღამის საათებში მოძრაობის აკრძალვა);

- გზშ-ის ანგარიში წარმოდგენილი უნდა იქნეს ადგილზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, მასში უნდა აისახოს სრული ტექნოლოგიური პროცესის წარმართვის შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედების სახეები, შემარბილებელ ღონისძიებებთან ერთად;
- ინფორმაცია ელექტროენერგიით, ბუნებრივი აირითა ან/და სხვა კომუნიკაციებით მომარაგების შესახებ;
- ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, ინფორმაცია ობიექტებზე წყლის გამოყენების შესახებ, გამოსაყენებელი წყლების რაოდენობისა და დანიშნულების (სასმელ-სამეურნეო, ტექნიკური (დანადგარების გაგრილების) და ხანძარსაწინააღმდეგო) მითითებით;
- დეტალური ინფორმაცია ჩამდინარე სამეურნეო-საყოფაცხოვრებო და საწარმოო წყლების (დღეღამური, თვიური და წლიური რაოდენობების მითითებით), ასევე სანიაღვრე წყლების მართვის შესახებ (მათ შორის სალექარზე, ასევე ჩამდინარე წყლის მონიტორინგის საკითხები). მათ შორის, წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სანიაღვრე ქსელის მესაკუთრესთან შეთანხმების შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების დაბინძურებისა და მათი მართვის ღონისძიებების შესახებ;
- ინფორმაცია ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი წიდის დაზუსტებული რაოდენობის, წიდის ლაბორატორიული კვლევის შედეგების, დროებითი დასაწყობების ადგილის, დასაწყობების პირობებისა (მათ შორის, ხანგრძლივობის) და შემდგომი მართვის კონკრეტული ღონისძიებების შესახებ, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით;
- ინფორმაცია შესაძლო ავარიული სიტუაციების შესახებ, ავარიული სიტუაციებზე რეაგირების სამოქმედო გეგმა. ამასთან, განხილული უნდა იქნეს სახანძრო უსაფრთხოების საკითხები და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები;
- დასაქმებული ადამიანების რაოდენობა, მათ შორის, დასაქმებულთა შორის ადგილობრივი მოსახლეობის წილი, ასევე ინფორმაცია პერსონალის პროფესიული და ტექნიკური სწავლების შესახებ;
- ინფორმაცია გზშ-ის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო/საძიებო კვლევებისა და გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის გამოყენებული მეთოდების შესახებ;
- ინფორმაცია საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში გარემოს პირვანდელ მდგომარეობამდე აღდგენის ღონისძიებების შესახებ;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირების, მათი პოზიციების, დამოკიდებულების/აზრის გათვალისწინებისა და შეთანხმების (არსებობის შემთხვევაში) ამსახველი ინფორმაცია, ასევე ინფორმაცია საჯარო განხილვაზე გამოთქმული შენიშვნების/მოსაზრებების გათვალისწინების შესახებ;

6. გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისათვის და მოსალოდნელი ზემოქმედებების შეჯამება, მათ შორის:

- **გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილ უნდა იქნას მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ატმოსფერულ ჰაერზე, სადაც გათვალისწინებული უნდა იყოს:**
    - ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები (გენ-გეგმაზე მითითებით), გაფრქვეული მავნე ნივთიერებები, მათი რაოდენობრივი და თვისობრივი მონაცემები და გაბნევის ანგარიში, ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების შეფასების მიმართულებით;
    - უწყვეტი მონიტორინგის საკითხი, ,,დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგის და ანგარიშგების წარმოების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 31/12/2013 წ. N413 დადგენილების შესაბამისად;
    - ობიექტების განთავსების ტერიტორიის 500 მეტრიან რადიუსში დადგენილი უნდა იყოს ყველა საწარმო, რომელთა მიერ გაფრქვეული მავნე ნივთიერებათა სახეობები იდენტური იქნება საკვლევი ობიექტის მიერ გაფრქვეული მავნე ნივთიერებებისა. ასეთის არსებობის შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იყოს ანგარიშში კუმულაციური ზემოქმედების მიზნით საკონტროლო ობიექტების მიმართ;
    - დეტალური ინფორმაცია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების პრევენციის მიზნით გათვალისწინებული ღონისძიებების შესახებ (შესაბამისი დასაბუთებით), მათ შორის, მტვერდამჭერი სისტემის (ტექნიკური პარამეტრების, საპასპორტო მონაცემებისა და ეფექტურობის მითითებით), აღნიშნული მოწყობილობების პარამეტრების დაცვისა და გამართულად ექსპლუატაციის უზრუნველყოფის, მათ შორის, ფილტრების დროული გამოცვლის, მტვერდამჭერი მოწყობილობის მიერ დაჭერილი მტვრის და მისი მართვის (მათ შორის, კვლავ წარმოებაში გამოყენების შესაძლებლობის) შესახებ;
    - გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების განახლებული პროექტი, საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით. ხოლო დაგეგმილი საქმიანობის (ახალი საპროექტო ტერიტორია) ფარგლებში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროს არსებობის/მოწყობის შემთხვევაში გზშ-ის ანგარიშს ასევე უნდა ახლდეს ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი;

    - ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგის გეგმა, სადაც გაფრქვევის წყაროებზე, მონიტორინგის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან ერთად, გათვალისწინებული იქნება ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მონიტორინგის საკითხები 500 მ-იანი ნორმირებული ზონის საზღვარზე, მონიტორინგის სიხშირისა და სააგენტოში მონიტორინგის შედეგების წარმოდგენის პერიოდულობის მითითებით. მონიტორინგის გეგმაში შეტანილი უნდა იყოს შერჩეული მეთოდის/ხელსაწყოს და სტანდარტის შესახებ ინფორმაცია, ასევე ინსტრუმენტული მონიტორინგის ადგილმდებარეობის GPS კოორდინატები;
- ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება. ხმაურის გავრცელების დონეების გაანგარიშება და მოდელირება, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები და მონიტორინგის საკითხები. ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება წარმოდგენილ უნდა იქნას კუმულაციური ზემოქმედების გათვალისწინებით;
- შესაძლო ზემოქმედების შეფასება ზედაპირულ და მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე და დეტალური ინფორმაცია შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ (შესაბამისი დასაბუთებით);
- ჩამდინარე წყლების ზედაპირული წყლის ობიექტში ჩაშვების წერტილ(ებ)ის დაზუსტებული GPS კოორდინატები;
- გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების პროექტი;
- დაბინძურებული ჩამონადენი წყლის სავარაუდო შემადგენლობის შესახებ ინფორმაცია - გაწმენდამდე და გაწმენდის შემდეგ, შესაბამისი დასაშვები ნორმების მითითებით;
- საპროექტო ტერიტორიის გეოლოგიური პირობების აღწერა და გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება;
- ინფორმაცია ჰიდროგეოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ, პრევენციული ღონისძიებების მითითებით;
- ზემოქმედების შეფასება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტის ხარისხზე, შესაძლო დაბინძურების განსაზღვრა, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ბიოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნას საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ფლორისა და ფაუნის აღწერა, მათზე მოსალოდნელი ზემოქმედებისა და შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს საპროექტო ტერიტორიაზე წარმოდგენილ „საქართველოს წითელ ნუსხაში“ შეტანილ ფლორისა და ფაუნის სახეობებსა და საერთაშორისო შეთანხმებებით დაცული ფაუნის სახეობებზე;

- საპროექტო ტერიტორიაზე ბიომრავალფეროვნებაზე მოსალოდნელი ზემოქმედების სრულფასოვანი პრევენციის მიზნით, უნდა განისაზღვროს უფრო დეტალური შემარბილებელი ღონისძიებები. გარდა ამისა, უნდა მომზადდეს ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის გეგმა (ან შესაბამისი საკითხები აისახოს ერთიან მონიტორინგის გეგმაში), სადაც სამონიტორინგო დაკვირვებები მოცემული იქნება ბიომრავალფეროვნების ცალკეული კომპონენტისთვის. გეგმაში უნდა აისახოს ასევე შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტიანობაზე დაკვირვების (საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელების მიზნით), მონიტორინგის ჩატარების სიხშირისა და ვადის/ხანგრძლივობის, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ანგარიშგების საკითხები;
- გზშ-ის ანგარიშში დეტალურად უნდა იქნეს ასახული პროექტის განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების შეფასება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე, ასევე განსაზღვრული იყოს ადამიანის ჯანმრთელობასთან/უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს გარემოზე შეუქცევადი ზემოქმედების შეფასებას და მისი აუცილებლობის დასაბუთებას, რაც გულისხმობს გარემოზე შეუქცევადი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონას გარემოსდაცვით, კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ ჭრილში;
- კუმულაციური ზემოქმედების შეფასება მეტალურგიული საწარმოს და ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს (განსაკუთრებით 500 მ რადიუსში) არსებული ან/და საპროექტო ობიექტების პროფილის, ფუნქციური სტატუსებისა და წარმადობების მითითებით. კუმულაციური ზემოქმედების შეფასება წარმოდგენილი უნდა იქნეს გარემოს თითოეული კომპონენტისთვის (განსაკუთრებით ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების და ხმაურის გავრცელების კუთხით). ასევე, კუმულაციური ზემოქმედების შემცირებისთვის უნდა განისაზღვროს ეფექტური შემარბილებელი ღონისძიებები;
- ინფორმაცია ნარჩენების წარმოქმნითა და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ. ასევე, საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების და მათი შემდგომი მართვის შესახებ, „ნარჩენების მართვის კოდექსისა“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. მათ შორის, ინფორმაცია ნებართვის მქონე იმ ორგანიზაციების შესახებ, რომელსაც გადაეცემა აღნიშნული ნარჩენები, შემდგომი მართვის მიზნით;
- ინფორმაცია სალექარში წარმოქმნილი ლექის/შლამის (რაოდენობა და სხვ.) და მისი მართვის შესახებ;
- ზემოქმედების შეფასება ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე;
- მოწყობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე განსახორციელებელი გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების გეგმა;

- საქმიანობის ფარგლებში განსახორციელებელი **შემარბილებელი ღონისძიებების შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი**;
- საქმიანობის ფარგლებში განსახორციელებელი **გარემოსდაცვითი მონიტორინგის შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი** (საკონტროლო წერტილების, მონიტორინგის სიხშირის, მეთოდის და ა.შ მითითებით);
- გზშ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები, რეკომენდაციები და საქმიანობის პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები;

7. საკითხები/შენიშვნები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს გზშ-ის ანგარიშში:

- სკოპინგის დასკვნის გაცემის თაობაზე წარმოდგენილ განცხადებასა და სკოპინგის ანგარიშის სათაურში მითითებულია, რომ დაგეგმილია შპს „ჯეოსთილის“ საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება. ამასთან, განცხადებისა და ანგარიშის წარმოდგენის საკანონმდებლო საფუძველში მოცემულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის 10.2 (ნარჩენების განთავსება) და 10.3 ქვეპუნქტები (ნარჩენების აღდგენა, გარდა არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავებისა). თუმცა, დოკუმენტაციაში არ არის მოცემული არსებული საწარმოს (მდგომარეობის) შესახებ ინფორმაცია და განხილულია მხოლოდ ახალი საპროექტო ობიექტის მოწყობა-ექსპლუატაცია, რომელიც შპს „ჯეოსთილის“ მეტალურგიული საწარმოდან დაშორებულია დაახლოებით 5 კილომეტრით (პირდაპირი მანძილი). **შესაბამისად, საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შემთხვევაში, გზშ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია როგორც არსებული მეტალურგიული საწარმოს, ასევე საპროექტო ობიექტ(ებ)ის შესახებ. ხოლო, თუ შპს „ჯეოსთილს“ დაგეგმილი აქვს მხოლოდ ახალი ობიექტის (არასახიფათო ნარჩენის განთავსება და წიდის გადამამუშავებელი საწარმოს) მოწყობა და ექსპლუატაცია, გზშ-ის ანგარიში წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი საკანონმდებლო საფუძვლის და ფორმატის მიხედვით;**
- სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს ცნობით, საპროექტო ტერიტორია, თანდართული დოკუმენტაციისა და აღნიშნულ სააგენტოში არსებული ინფორმაციის საფუძველზე, მდებარეობს მეტალურგიული წარმოების ნარჩენი წიდის სანაყაროს ტერიტორიაზე. შესაბამისად, იგი ექვემდებარება წიაღზე დამაგრებას. აღნიშნული გათვალისწინებული უნდა იყოს გზშ-ის ანგარიშის წარმოდგენამდე, ხოლო ანგარიშს თან უნდა ახლდეს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოსთან კომუნიკაციის/შეთანხმების ამსახველი დოკუმენტაცია;
- გარდა ამისა, როგორც უკვე აღინიშნა, შპს „ჯეოსთილის“ მეტალურგიული საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების (ბრძანება №247/ს) მიხედვით, მეტალურგიულ საწარმოში, ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი წიდის (10 02 02), ხენჯის (10 02 10) და

მტვერდამჭერი სისტემიდან მიღებული მტვრის (10 02 15) დროებითი დასაწყობება ხდება მეტალურგიული საწარმოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს, საპროექტო ნაგავსაყრელისა და წიდის გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციის შემდეგ, მოხდება თუ არა აღნიშნულ ტერიტორიებზე წიდის, ხენჯისა და მტვრის კვლავ განთავსება;

- გზშ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იქნას ინფორმაცია გასულ წლებში დაგროვებული და ასევე, დაგეგმილი საქმიანობის ეტაპზე ნარჩენი წიდის გადამუშავების შემდგომ მიღებული ნარჩენების (კოდი, დასახელება და რაოდენობა) და მათი შემდგომი მართვის შესახებ და ინფორმაცია საქმიანობის განხორციელების დროს მოსალოდნელი სხვა ნარჩენების (კოდები, დასახლება, რაოდენობა და შემდგომი მართვის ღონისძიებები) შესახებ;
- გზშ-ის ანგარიშში დეტალურად უნდა იქნას წარმოდგენილი ინფორმაცია გასულ წლებში დასაწყობებული წიდის კოდის, რაოდენობის და გადამუშავების გეგმა-გრაფიკის (წლების მიხედვით) შესახებ. ასევე, დაზუსტებას საჭიროებს, გეგმავს თუ არა კომპანია დაგროვებული წიდის ტერიტორიის გასუფთავების შემდგომ რაიმე ღონისძიებების ჩატარებას;
- გზშ-ის ანგარიშში მოცემული უნდა იქნას ინფორმაცია ქვეყანაში წიდის გადამუშავების შედეგად მიღებული არალითონური წიდის გამოყენების შეფასებისა (ბაზრის დეტალური შესწავლა) და აღნიშნული ნარჩენების მართვის ალტერნატიული მეთოდების შესახებ. ამასთანავე, დეტალურად უნდა იქნას წარმოდგენილი ინფორმაცია წიდის გადამუშავების უბნის და ტექნოლოგიის შესახებ;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნას ინფორმაცია არასახიფათო ნარჩენებისთვის განკუთვნილი ნაგავსაყრელის მოწყობისა და შემდგომი მოვლის შესახებ, რომელიც სრულ თანხვედრაში იქნება „ნაგავსაყრელის მოწყობის, ოპერირების, დახურვისა და შემდგომი მოვლის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 11 აგვისტოს N421 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. სადაც დეტალურად იქნება გათვალისწინებული აღნიშნული დადგენილების მე-15 და 25-ე მუხლებით დადგენილი მოთხოვნები;
- სკოპინგის ანგარიშის თანახმად, სადრენაჟე პერფორირებული მილი მთელი სიგრძეზე შეიფუთება გეოტექსტილით, ასევე გეომემბრანაზე გაიშლება 450 გრ/მ^2 სიმკვრივის გეოტექსტილი და ჩამაგრდება მთელ პერიმეტრზე. თუმცა, 2.2.1.1 ნახაზზე („ნარჩენების განთავსების უბნის ძირის ჭრილი“) არ არის წარმოდგენილი გეომემბრანაზე გეოტექსტილის მთელ სიგრძეზე გაშლის საკითხი, რაც გზშ-ის ანგარიშში დაზუსტებას/კორექტირებას საჭიროებს. ამასთან, წარმოდგენილი უნდა იქნას დეტალური ინფორმაცია ფსკერის და ზედა საიზოლაციო სისტემის შესახებ;
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო საწარმოში გადამუშავდება შპს „ჯეოსთილის“ მეტალურგიული საწარმოდან შემოტანილი წიდა. გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იქნას ინფორმაცია, დაგეგმილია თუ არა შპს „ჯეოსთილის“ მეტალურგიული საწარმოს გარდა წიდის მიღება და გადამუშავება სხვა ობიექტებიდან;

- სკოპინგის ანგარიშში მოცემულია ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაცია, კერძოდ, დოკუმენტში აღნიშნულია, რომ საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 1800 მეტრით (სოფ. კალინინო), თუმცა 4.1.2 ქვეთავში მითითებულია, რომ ხმაურით გამოწვეული ზემოქმედების შეფასებისას საანგარიშო წერტილად განისაზღვრა საწარმოო ტერიტორიის საზღვრიდან დაახლოებით 875 მ მანძილის დაშორებით არსებული საცხოვრებელი სახლი. ამასთან, მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დადგინდა, რომ საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 730 მეტრით. შესაბამისად, გზშ-ის ეტაპზე უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე მანძილი დაზუსტებას საჭიროებს;
- სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი არ არის ინფორმაცია პროექტის ფარგლებში წარმოსაქმნელი გრუნტის რაოდენობისა და შემდგომი მართვის შესახებ, რაც გზშ-ის ანგარიშში დაზუსტებას საჭიროებს;
- სკოპინგის ანგარიშში მოცემულია ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაცია სატრანსპორტო ოპერაციების რაოდენობის შესახებ, რაც გზშ–ის ანგარიშში დაზუსტებას/კორექტირებას საჭიროებს;
- გზშ-ის ანგარიშში დაზუსტებას/კორექტირებას საჭიროებს სასმელ-სამეურნეო და სამეურნეო-საყოფაცხოვრებო დანიშნულების წყლების რაოდენობა, ასევე წარმოდგენილი უნდა იქნას ინფორმაცია სასმელ-სამეურნეო წყალმომარაგებისთვის განთავსებული წყლის სამარაგო რეზერვუარების ტევადობის შესახებ;
- სკოპინგის ანგარიშში მოცემული ჩანაწერი - „აღნიშნული გათვალისწინებით საპროექტო საამქრო ექსპლუატაციის პირველი 7-8 განმავლობაში იმუშავებს სრული დატვირთვით“ განმარტებას საჭიროებს;
- სკოპინგის ანგარიშში მოცემულია ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაცია, კერძოდ, ზოგ თავში აღნიშნულია, რომ სალექარი ჭიდან წყლის ჩაშვება გათვალისწინებულია მდ. მტკვარში, თუმცა 4.3 ქვეთავში („ზემოქმედება ზედაპირულ და მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე“) მითითებულია, რომ „საქმიანობის განხორციელების პროცესში ზედაპირულ წყლებში ჩამდინარე წყლების ჩაშვებას ადგილი არ ექნება.“ აღნიშნული საკითხი დაზუსტებას საჭიროებს;
- სკოპინგის ანგარიშის თანახმად, წყალმოვარდნისგან დამცავი კედლის მოწყობის აუცილებლობა არ არის. აღნიშნული ინფორმაცია დასაბუთებული უნდა იქნას გზშ-ის ანგარიშში;
- **დეტალური ინფორმაცია საწარმოში სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული გეგმიური/არაგეგმიური შემოწმებების, მათ შორის, გამოვლენილი დარღვევების, განსაზღვრული გონივრული ვადებისა და მათი აღმოფხვრისთვის განსაზღვრული ქმედებების შესახებ (ცხრილის სახით);**
- იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებების ფარგლებში დაგეგმილი იქნება 2023 წლის პირველ ივნისს გაცემული გარემოსდაცვითი

გადაწყვეტილების (ბრძანება №247) ძალადაკარგულად გამოცხადება, აღნიშნული მოთხოვნა უნდა აისახოს გზშ-ის ანგარიშში;

- **გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისთვის, გზშ-ის ანგარიშში გათვალისწინებული უნდა იქნეს სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული თითოეული მოთხოვნა.**

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული თითოეული საკითხის გათვალისწინების შესახებ, ერთიანი ცხრილის სახით

დასკვნითი ნაწილი:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, შპს „ჯეოსთილის“ მიერ წარმოდგენილ პროექტზე, რომელიც ეხება ქ. რუსთავში, მეტალურგიული საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას (არასახიფათო ნარჩენის განთავსება და წიდის გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაცია) **სავალდებულოა გზშ-ის ანგარიში მომზადდეს** წინამდებარე სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოსაპოვებელი, შესასწავლი ინფორმაციის და წარმოსადგენი დოკუმენტაციის მიხედვით. გზშ-ის ანგარიში შედგენილი უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობის, განსაკუთრებით, სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული მითითებების სრული დაცვით.